საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 16 დეკემბრის
დადგენილება №576

სტუ-ში სასწავლო პროცესის
მართვის ინსტრუქციაში კვალიფიკაციების
მინიჭებასთან დაკავშირებით
ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 5.11 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.11. თუ სტუდენტმა დაასრულა (სრულად დაამთავრა) საგანმანათლებლო პროგრამა და შეჩერებული არ აქვს სტუდენტის სტატუსი, კალენდარული წლის ბოლომდე მას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია და მიეცეს დიპლომი დიპლომის დანართთან ერთად. კვალიფიკაციას ანიჭებს: ბაკალავრიატსა და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე – საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია, მაგისტრატურაში – რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისია; დოქტორანტურაში – სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი სადისერტაციო კოლეგია. სწავლების საფეხურის და სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტს მიეცემა დიპლომირებული სპეციალისტის, დიპლომირებული სპეციალისტის წარჩინების, ბაკალავრის, ბაკალავრის წარჩინების, მაგისტრის, მაგისტრის წარჩინების ან დოქტორის დიპლომი. (16.12.2011 N576)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე